Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.

http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

ქართული შრიფტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-11-27 18:11

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 27 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

I ნაწილი

(საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გრიგოლ ვაშაძე)

2008-11-27 18:11

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 27 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია

თავმჯდომარე. მოგესალმებით ყველას. დიდი მადლობა, ბატონო გრიგოლ, მობრძანებისათვის. როგორც ცნობილია, პარლამენტის დადგენილებით შექმნილია დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც სწავლობს აგვისტოს მოვლენებს და აქედან გამომდინარე, თქვენ მზად ხართ თუ არა ითანამშრომლოთ კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ის ინფორმაცია ,რასაც თქვენ ფლობთ.

გ.ვაშაძე. დიდი მადლობა, ბატონო დავით, თქვენ რომ ამ კომისიაზე დამიძახეთ. ეს ჩემი ვალდებულებაა, როგორც მოქალქის და როგორც სახელმწიფო მოხელის და იმ ფარგლებში, რაც ჩემს კომპეტენციას შეეხებოდა და იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მე მქონდა ინფორმაცია, ვეცდები მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდოთ.

თავმჯდომარე. ბატონო გრიგოლ, თქვენი დაბარების მიზეზი გახდა ის, რომ საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთის ფედერაციაში, ბატონი ეროსი კიწმარიშვილი, იყო კომისიაზე მობრძანებული და მან მოგვაწოდა გარკვეული ინფორმაციები. ჩვენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, კერძოდ, მინისტრმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ, მოგვახსენეს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობაზე. თქვენ დღეს ბრძანდებით მინისტრი, მაგრამ იმ პერიოდში, აგვისტოს მოვლენების პერიოდში იყავით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ბატონმა ეროსიმ იმ ინფორმაციაში, რომელიც მიაწოდა მან კომისიას არაერთხელ ახსენა თქვენი გვარი. თქვენ, ალბათ, ადევნებდით თვალ–ყურს და ახსენა იმ ჭრილში, რომ თქვენ თითქოსდა ფლობდით გარკვეულ ინფორმაციებს და საუბრებში მასთან ან, ვთქვათ, სხვა თანამდებობის პირებთან, ხაზს უსვამდით იმას, რომ საქართველო მზად იყო საბრძოლო მოქმედებებისათვის და რომ, ფაქტიურად ეხლა მე არ მინდა ციტირება გავაკეთო ბატონი ეროსის, მაგრამ შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ხდებოდა პროვოცირება

კონფლიქტისა და როგორც დიპლომატიური წრეების წარმომადგენელი თქვენ ცალსახად უსვამდით ამას ხაზს, რომ სახელმწიფო იმდენად ძლიერი, პირობითად, და იმდენად ქმედითია, რომ მას შეუძლია ტერიტორიული მთლიანობის საკითხები გადაწყვიტოს საბრძოლო მოქმედებების გზით. აგრეთვე მინდა დავაზუსტო ერთი საკითხიც, ბატონმა ეროსიმ აღნიშნა, რომ ჩვენ ამას ხვალ ვკითხავთ საქართველოს პრეზიდენტს, რომ თვითმფრინავში საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება თითქოსდა, დედაქალაქის გადატანაზე. თქვენ იყავით თუ არა, ამ დროს იმყოფებოდით თუ არა თვითმფრინავში, ასეთი რაღაცა გსმენიათ თუ არა? კონკრეტულად ეს შეკითხვები მაქვს მე. დამატებითი შეკითხვები თუ არის გთხოვთ, რომ დაუსვათ. ქალბატონი ხათუნა.

ხ.გოგორიშვილი. ბატონო გრიგოლ, მე გავაგრძელებ, თქვენის ნებართვით, იმ ინფორმაციას, რომელიც მივიღეთ ყოფილი ელჩისგან და ჩემი შეკითხვა შემდეგში მდგომარეობს, იმ ხნის განმავლობაში ანუ მაისიდან ივლისის პერიოდში, რაც კიწმარიშვილი იყო ელჩი, იყო კონკრეტული მოხსენებითი ბარათები, რომელიც მოდიოდა სამინისტროს მისამართით. ჩვენ გამოვითხოვეთ ყველა ეს დოკუმენტი, მთლიანად 22 მოხსენებითი ბარათია გამოგზავნილი და , მათ შორის, 19 არის თქვენს სახელზე და არც ერთ ამ მოხსენებით ბარათში ის ინფორმაცია, რომელსაც კომისია ისმენდა სხდომაზე არც ერთი ეს ინფორმაცია ასახული არ არის. საკითხი შეეხება კონკრეტულ პრობლემებს, კონკრეტულ ინიციატივებს რუსეთის თანამდებობის პირებისგან, კონკრეტული კავშირებისა და გარკვეული სამშვიდობო ინიციატივების რუსეთის მაღალჩინოსნების მხრიდან. ეს ერთი, მეორე იყო ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის მცდელობები და ინიციატივები რუსული მხარის მხრიდან და მე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ არც ერთ მოხსენებით ბარათში არანაირი მსგავსი ინფორმაცია ასახული არ არის. ჩემს შეკითხვაზე, რომ რატომ არ მოხდა ამ ინფორმაციის ასახვა და ოფიციალურად მიწოდება თქვენთვის და სამინისტროს ხელმძღვანელებისათვის მივიღეთ პასუხი, რომ გარდა ოფიციალური მოხსენებითი ბარათებისა არის კიდევ სატელეფონო საუბრების და ტელეფონით ინფორმაციის მიწოდების გამოცდილება სამინისტროში. მე მაინტერესებს საერთოდ არის თუ არა ასეთი გამოცდილება და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე და , მით უმეტეს, როდესაც რუსეთს შეეხება ,შესაძლებელი არის თუ არა კონკრეტული ვიზიტები მაღალი თანამდებობის პირებისა კონკრეტული ინიციატივები, მათ შორის, ეკონომიკური მიმართულებით იყო სატელეფონო საუბრით შეთანხმებული, გადაწყვეტილი და დირექტივები კონკრეტული ქმედებებისა მიიღოს ელჩმა მინისტრის მოადგილისგან არა წერილობით, არამედ სატელეფონო საშუალების მეშვეობით. არის თუ არა ასეთი პრაქტიკა სამინისტროში და თავისთავად ჰქონდა თუ არა ეს ზოგადი და კონკრეტულად კიწმარიშვილის მხრიდან, ჰქონდა თუ არაკონკრეტულ ასეთი სახის ინფორმაციის მოწოდებას ადგილი თქვენდამი და თუ იყო, რას შეეხებოდა ეს ინფორმაცია.გმადლობთ.

გ.გაბაშვილი. ბატონო გია, თუ თქვენ უსმენდით ბატონი ეროსის გამოსვლას, მე არ ვგულისხმობ იმას, რომ ბოლო ნაწილში მან გარკვევით თქვა, რომ აგვისტოს 6–ის მერე ეს არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ძალიან მკაფიოდ გაიმეორა რუსული პროპაგანდისტული ვერსია ომის დაწყებისა და ომის მიმდინარეობისა, მან თქვა, რომ არ ყოფილა მასირებული შეტევა ქართულ სოფლებზე, არ ყოფილა რუსული შეიარაღებული ძალების შემოჭრა საქართველოში, რომ საომარი მოქმედებები დაიწყო საქართველომ და რომ მას სხვადასხვა ოფიციალურ პირებთან საუბარში ჰქონდა ინფორმაცია, რომ ეს ომი დაიწყო იმიტომ, ეს მას ადრე პრესაში საუბარში ჰქონდა ინფორმაცია, რომ ეს ომი დაიწყო იმიტომ, ეს მან ადრე პრესაშიც განაცხადა და დაადასტურა კომისიაზე, რომ საქართველომ ომი დაიწყო იმიტომ, რომ 24–36 საათში დაემთავრებინა საბრძოლო მოქმედებები ოსეთში და მყისვე განეხორციელებინა ორმხრივი შეტევა აფხაზეთზე. მე, ნამდვილად არ გეკითხებით თქვენ, რატომ თქვა ასე ეროსი კიწმარიშვილმა. მან თავად თქვა, რომ 6–ის მერე ინფორმაცია არ ჰქონია, მაგრამ, უბრალოდ, ასე ენდობა როგორც ჩანს, რუსულ პროპაგანდისტულ ვერსიას და არც ჩვენი კომისიის და არც საერთაშორისო გამოძიების დასრულებას არ ელოდება და უკვე იცის ყველაფერი იმის შესახებ, თუ ვინ დაიწყო ომი და როგორ მიმდინარეობდა აგრესია. მაგრამ მანამდე, მან განაცხადა, ამაში მდგომარეობს ჩემი შეკითხვის არსი, მანამდე მან განაცხადა, რომ აი ამ ყველაფრის, რაც ბოლოში იქნა აღწერილი, თავიდან აცილების საშუალება იყო მისი მუშაობის დროს ელჩად, რომ მას ჰქონდა მკაფიო სიგნალები რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობიდან. ჩვენ რამოდენიმეჯერ ვთხოვეთ მას, ეთქვა, ვინ არის რუსეთის ეს პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მან, პრინციპში, არანაირი სახელები არ თქვა. მან თქვა მხოლოდ სამი სახელი, ეს არის, ბატონი პრიმაკოვი, "ეფ–ეს–ბეს" ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც დღეს, რამდენადაც ვიცი, ოფიციალურ პოსტს არ ფლობს, მიხალკოვი და ჩემი ვარაუდია, რომ საუბარია კინორეჟისორ ნიკიტა მიხალკოვზე და ნარიშკინი, რომლის ვიზიტი იგეგმებოდა საქართველოში, მისი ჩამოსვლა კულტურის დღეებზე, რომელიც უნდა გამართულიყო საქართველოში, უნდა ჩამოსულიყო ნარიშკინი და ეს გახდებოდა სერიოზული შემოტრიალების, ასე ვთქვათ, საფუძველი ქართულ–რუსულ ურთიერთობებში. ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა, ბატონმა ეროსიმ. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, დაწყებული მარტი–აპრილიდან და იმ პერიოდიდან, როცა ბატონმა პუტინმა უკვე ოფიციალური ურთიერთობების შესახებ განაცხადა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. თუ იყო რამე მომენტი რუსეთის დიპლომატიურ წრეებში, თქვენს კონტაქტებში, თქვენს საუბრებში რუს დიპლომატებთან, ან ბატონი ეროსისგან თუ გქონდათ ცნობები, რომ არის მაღალ ხელმძღვანელობაში რუსეთში თანამდებობის პირები, რომლებიც არ იზიარებენ საქართველოს მიმართ აგრესიულ გეგმებს და რომლებიც რეალურად არიან გადაწყვეტილების მიმღები იქითკენ, რომ მომხდარიყო რეალური დიპლომატიური შემობრუნება საერთაშორისო ასპარეზზე ამ ბილატერალურ ურთიერთობებში და ბატონი პაატას შეკითხვას კიდევ ერთხელ დავაზუსტებ, ბატონი ეროსის მოსაზრება, რომ ის მთლიანად ეთანხმება რუსულ ვერსიას, რომ ჩვენ მოვახდინეთ საბრძოლო მოქმედებების დაწყება და არანაირი რუსული ჯარების

შემოსვლა არ ყოფილა და არანაირი ქართული სოფლების დაბომბვა არ ყოფილა და ჩვენ დავიწყეთ ეს აგრესია. ამას ეს ასაბუთებს იმით, რომ ადრე, წინა– პერიოდში, სხვადასხვა არაფორმალურ საუბრებში გაუგია ასეთი რამ,რომ ჩვენ გვაქვს ასეთი გეგმა 24–36 საათის განმავლობაში დავიწყოთ ომი, წარმატებით დავასრულოთ, როგორც სამხრეთ ოსეთში, ასევე აფხაზეთში და ძალით დავიბრუნოთ ეს ტერიტორიები. და მან დაგასახელათ თქვენ, როგორც ერთ-ერთი არაფორმალური საუბრისას, ვთქვათ, წყარო ასეთი ინფორმაციისა, რომ საქართველოს აქვს ასეთი გეგმები და განზრახვები. რას იტყვით აი ამის შესახებ.

ბოლო კითხვას დავაკონკრეტებ, მან,ბატონმა ეროსიმ დაასახელა კონკრეტული პერიოდი, ეს არის ივლისის ბოლო, როცა თქვენ მას განუცხადეთ, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების აზრი აღარ არსებობს და საქართველო აპირებს ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვიტოს ეს კონფლიქტები. იყო თუ არა ეს საუბარი თქვენსა და ბატონ ეროსის შორის ივლისის ბოლოს.

თავმჯდომარე. ქალბატონო ხათუნა.

ხ.გოგორიშვილი. ერთი წუთით, ერთ შეკითხვას დავამატებ. საკითხი იმის შესახებ, რომ არ იბომბებოდა ქართული სოფლები და ეს მოვისმინეთ ჩვენ ყოფილი ელჩისგან, ამასთან დაკავშირებით, მე მინდა თქვენ, როგორც იმ პერიოდში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია 5-ში საქართველოში აკრედიტირებული ელჩების ვიზიტის შესახებ ცხინვალის რეგიონში და შესაბამისად, მათი რეაქცია იქ მიმდინარე სიტუაციების შესახებ, სიტუაციის შესახებ. გმადლობთ.

გ.ვაშაძე. დიდი მადლობა. მე ეხლა ჩავყვები ამ შეკითხვებს, თუ რაღაცა გამომრჩება ბოლოს თქვენი დახმარებით დავაზუსტებ ყველაფერს. არავითარი სურვილი არა მაქვს მე ეხლა აქ პირადული გამოხტომები, ... გამოხტომები დავუშვა, ამიტომ მინდა უცბად ვთქვა რამდენიმე სიტყვა საერთოდ ჩვენს ყოფილ ელჩზე და ამით მოვითავო ეს ისტორია და შემდეგ ვილაპარაკო საერთოდ ფაქტებზე და იმაზე, როგორ ვითარდებოდა თებერვლის პირველი რიცხვებიდან, როცა მე ოფიციალურად დავინიშნე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ, რუსულ–ქართული ურთიერთობები. არასოდეს არც ერთ თათბირში და დამიჯერეთ ფაქტიურად, ყველას მონაწილე ვიყავი მე, არასოდეს იმ თათბირში, სადაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული ან ჩვენ უნდა მოგვეფიქრებინა სამშვიდობო ინიციატივა,ან რუსულ რომელიმე დიპლომატიურ პოლიტიკურ, ან სამხედრო ნაბიჯისთვის უნდა გვეპასუხებინა, ბატონი ეროსი არასოდეს არ ყოფილა. ამიტომ მას არავითარი ინფორმაცია, უფლება და ფაქტები არა აქვს ილაპარაკოს იმაზე, რას გეგმავდა, რას აპირებდა და რას თვლიდა საჭიროდ საქართველოს ხელისუფლება. ბატონი ეროსის კონტაქტები მოსკოვში შემოიფარგლებოდა იმ ხალხით, რომელიც ან ოდესღაც იყო მთავრობაში, ან რუსები რომ ეძახიან "иногда вхож в правительство". გვარების დასახელება მე ეხლა არ მინდა ამ ხალხის იმიტომ, რომ თვითონ ახსენა რამდენჯერმე, ჩემი მხრიდან არაკორექტული იქნება ეს. საერთოდ თავის ინფორმაციის წყაროებზე სერიოზული ადამიანი ,მით უმეტეს, ღია ეთერში არ ლაპარაკობს. ამიტომ არასოდეს მას არ ჰქონია შეხვედრა რუსეთის ხელისუფლების იმისთანა წარმომადგენელთან, რომელიც პირველი ინსტანცია არის და გადაწყვეტილების მიღებაში ან მის რეალიზაციაში იღებს მონაწილეობას. თუ არ ჩავთვლით ერთ–ორ შეხვედრას ბატონ კარასინთან. რაც შეეხება, ინფორმაციას, რომლებსაც ბატონი ეროსი აგზავნიდა, თქვენ აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით 22 თუ 23 მოხსენებითი ბარათი არის გამოგზავნილი იქიდან 2/3–ზე მეტი ჩემს სახელზე არის. ტელეფონით ჩვენ რეგულარული კონტაქტი გვქონდა იმიტომ, რომ რუსეთის საელჩო და რუსეთის დეპარტამენტი იყო ერთ–ერთი ჩემი საკურატორო და გასაგები მიზეზების გამო. ჩვენ ვლაპარაკობდით, მაგრამ არასოდეს მე არ მიმიღია ინფორმაცია, რომელსაც რაღაცა კარდინალურად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა. ეს ყველაფერი იყო არასამთავრობო ორგანიზაციის დონეზე ლაპარაკი. შევხვდი იურგენს, შევხვდი ამას, ლატინინამ ეს თქვა, ლატინინამ ის თქვა. ელჩი, რომელიც, რომელმაც ჯერ ვერ მოასწრო პრეზიდენტისთვის, რუსეთის პრეზიდენტისთვის რწმუნებათა სიგელების გადაცემა და რომელიც მხოლოდ თვე– ნახევარი იყო იქ, ძალიან თავდაჯერებული უნდა იყოს, რომ გამოაცხადოს, რომ მას რაღაცა კარების გაღების საშუალება მიეცა ან რაღაც ექსკლუზიური ინფორმაცია მოიპოვა. ადამიანების, კაცობრიობის ისტორიაში ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ელჩს, საერთოდ სჭირდება 6 თვე, 1 წელიწადი იმისათვის , რომ კონტაქტები დაამყაროს, მისდამი ნდობით განიმსჭვალონ და დაუწყონ ლაპარაკი იმისთანა თემებზე, რაც გაჟღერდება ოფიციალურ მოლაპარაკებებზე. არც არასოდეს, არც ერთ კონფიგურაციაში, არც პირად საუბარში, არც ვინმე სხვისი დასწრებით საქართველოს პრეზიდენტს ან რომელიმე თანამდებობის პირს, ჩემი მონაწილეობით არ ულაპარაკია დედაქალაქის თბილისიდან სოხუმში გადატანაზე იმ მოგზაურობის ჩათვლით, როდესაც ბატონ ეროსის, ეროსი თვითმფრინავში იყო, სადაც მართლა იყო გელა ბეჟუაშვილი, მართლა ბრძანდებოდა ქალბატონი ეკატერინე შარაშიძე, არავითარი ესეთი ლაპარაკი არ ყოფილა. პრეზიდენტს საერთოდ არასოდეს არ ულაპარაკია და დამიჯერეთ იმის გამო, რომ პრეზიდენტმა მე მიმიყვანა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სპეციალურად ქართულ – რუსული ურთიერთობებისთვის, მოგეხსენებათ მე ორი მოქალაქეობა მაქვს და 30 წელი ვცხოვრობდი მოსკოვში და გაცილებით მეტ კარებს ვაღებ ვიდრე ბატონი ეროსი. არაფერი უჩემოდ არ ხდებოდა და არაფერი, არაფერი რასაც პრეზიდენტი გეგმავდა შეიძლება რაღაცა გამომრჩა მე, შეიძლება რაღაცა არ მითხრა, მაგრამ, როგორც დღევანდელი მოვლენები მაჩვენებს, ინფორმაცია სრულად მქონდა მე. არასოდეს პრეზიდენტს ამისთანა რაღაცაზე არ ულაპარაკია ჩემთან და ,სხვათა შორის, ჩვენ არასოდეს არ დაგვიმალია, რომ სოხუმი ქართული ქალაქია, აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილია, ასეთი გეგმა რომ გვქონოდა, სიმართლე მოგახსენოთ, როგორც ვერც მოქალაქე, ვერც დიპლომატი ვერაფერ კრიმინალურს ვერ ვხედავ და რატომ არის ეს ომის

მზადებისთვის ანუ ომში შესვლის მზადყოფნის დადასტურება, მე ლოგიკა არ მესმის ამისი. შეიძლება აქ რაღაც სხვა ლოგიკა არის, მაგრამ ამისთანა ლაპარაკი არასოდეს არ ყოფილა. მოხსენებით ბარათებზე უკვე გითხარით. რა თქმა უნდა, ბატონი ეროსის ჰქონდა შეხვედრები ,ეგრეთ წოდებულ, რუს ოლიგარქებთან პირველი ეშელონის ან მეორე ეშელონის, სადაც თეორიულად განიხილებოდა საკითხები ეკონომიკური პროექტების განხორციელების საქართველოში რუსული კაპიტალის მოზიდვით. ნუ, მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, მაგალითად, სამთო–სათხილამურო კურორტები, მაგრამ ბატონმა ეროსიმ არ იცოდა ან არ უნდოდა დაეჯერებია, რომ იყო ოფიციალური ვეტო ჩვენთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე, განვითარებაზე აღარც ვლაპარაკობ, განახლებაზე. ჩვენ ვერ გავახსნევინეთ, ვერ გავახსნევინეთ მიუხედავად ჩვენი მეგობარი სომხეთის ათასი მოთხოვნის მიუხედავად, ვერ გავახსნევინეთ ლარსის გადასასვლელი, რომელიც იმდენად საქართველოს არ სჭირდებოდა, რამდენადაც რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირე სომხეთს. ყოველი ჩემი გამგზავრება მოსკოვში იყო, ერთ–ერთი თხოვნა, რაც მე თან მიმქონდა იყო ის, რომ სომხეთს სჭირდება, კატასტროფიულად სჭირდება ლარსის გადასასვლელი, რომ მათთვის საზღვაო გზა ერთი მესამედით აძვირებს მათი პროდუქციის იმ ექსპორტს და თხოვნა იყო, რომ იმდენად საქართველოს არ სჭირდება, რამდენადაც სომხეთს ეს. ამაზეც კი ვერ დავძარით ჩვენ რუსეთი და რაღაც დიდ ინვესტიციებზე ლაპარაკი, ეს ძაან გულუბრყვილო ადამიანი თუ დაიჯერებდა ამას. ტელეფონის ლაპარაკებზე მოგახსენეთ.

ახლა რაც შეეხება ფაქტებს: ყველას გარგად უნდა გვესმოდეს ჩვენ რომ არის დიპლომატიური მოლაპარაკება, არის არაოფიციალური მოლაპარაკება, არის არაოფიციალური საუბრები, ესეთი ნდობით, ნდობით სავსე საუბრები, რომლის გახმაურება საჭირო არ არის და არის ის რეალობა, რაც ხდება, რაც ხდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თებერვლიდან დაწყებული, როდესაც ჩვენ პირველად გამოგვიცხადეს, რომ კოსოვოს საპასუხოდ რუსეთს აქვს კარგად შესრულებული... ბატონო! როდესაც გამოგვიცხადეს რომ რუსეთს აქვს შესანიშნავი, შესანიშნავად შესრულებული საშინაო დავალება, მათ უკვე მოგონებული აქვთ სვლები, როგორ უპასუხონ კოსოვოს საქართველოს ხარჯზე, მაგრამ არა სარკისებურად.

ამის შემდეგ სიტუაცია ყოველ კვირას იცვლებოდა უარესობისკენ. არც ერთი კვირა არ გასულა, დაახლოებით, თებერვლის დასაწყისიდან, რომელსაც რაღაცა პროვოკაცია არ მოეტანა. თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო ასეთ ფაქტს: თუ თქვენ აიღებთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებსაიტს, გახსნით და წაიკიხავთ სამინისტროს განცხადებებს, უმრავლესი, აი ამ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში და კონფლიქტებთან მიმართებით, უმრავლესობა, ჩემი მონაწილეობით არის დაწერილი, თქვენ ასეთ რაღაცას ნახავთ: ფაქტიურად, სუყველა განცხადება, ფაქტიურად კი არა, სუყველა განცხადება აბსოლუტურად არის რუსეთის პროვოკაციული ნაბიჯების პასუხი, რაც, ერთი მხრივ, ძალიან სწორად ასახავს მოვლენების დინამიკას, მეორე მხრივ კიდევ, აჩვენებს საქართველოს ხელისუფლების თავშეკავებას. ჩვენ, ვინც პრეზიდენტმა მიგვიყვანა მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში, ჩემი ჩათვლით, ალბათ, უპირველეს ყოვლისა ჩემი ჩათვლით, ჩვენ გვქონდა ერთი დავალება - გამოვიყენოთ ყველა საშუალება, ყველა ადამიანი, ყველაფერი, რაც 30 წლის განმავლობაში ჩვენ შევიძინეთ მოსკოვში იმისათვის, რომ ვეცადოთ ურთიერთობების გაუმჯობესებას. მცდელობა ჩვენ არ დაგვიკლია, მაგრამ თქვენ თუ ამ განცხადებებს გაჰყვებით, რაც იწყება იმ პროვოკაციული ნაბიჯით, რომელიც რუსეთმა გააკეთა დსთ-ს მეთაურთა გადაწყვეტილების გამოსვლიდან, რაც, უპირველეს ყოვლისა, შეეხებოდა სამხედრო დახმარების არაღმოჩენას სეპარატისტული რეჟიმებისადმი. თუ თქვენ ამას გაჰყვებით, შემდეგ იუსტიციის სამინისტროს, რუსეთის იუსტიციის სამინისტროს მცდელობა - პირდაპირი კავშირის დამყარება ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროსთან, დამატებითი ჯარების შემოყვანა, პერმანენტული სროლა ადმინისტრაციული საზღვრის იქიდან, 20 აპრილის პროვოკაციული დადგენილება, სადაც, ფაქტიურად, აფხაზეთი და სამაჩაბლო იყვნენ გათანასწორებული დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, ჩვენი უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდება, 500 დამატებითი მედესანტის შემოყვანა, რომლის შენიღბვა რუსეთს არც კი უცდია, როგორც სამშვიდობოების. მათ ისეთი იარაღი ჰქონდათ შემოტანილი, რომელიც მანდატში არ იყო გაწერილი, მათ შორის, "ჰაუბიცები", რომელთაც 50 კმ-ის არეალი ჰქონდათ, მოქმდების, რკინიგზის აღდგენა იმ რაიონში, აფხაზეთის იმ რაიონში, სადაც მოსახლეობა, ფაქტიურად, არ არის დარჩენილი. დაბოლოს, ყველაფერი დამთავრდა იმითი, თქვენ მშვენივრად იცით, რომ ივლისის დასაწყისში, ჩვენ ყოველთვის აგვისტოზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩვენ გვავიწყდება ივლისის დასაწყისი, როდესაც სამი ფაქტი იყო. პირველი, სცადეს კორტეჟის აფეთქება დიმიტრი სანაკოევის, დაცხრილეს ქართული ავტობუსი, რომელსაც ბავშვები გადაჰყავდა ექსკურსიაზე და მძიმედ დაგვიჭრეს, მაპატიეთ, აღარ მახსოვს ზუსტად, ორი თუ სამი პოლიციელი. აი, ამ წუთიდან დაწყებული მოვლენები რუსების კონტროლის ქვეშიდანაც კი გამოვიდა.

ფაქტიურად სეპარატისტებმა დაიწყეს სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლა ომის გაჩაღებისთვის. არ ვიცი, ეხლა ვინ იყო პირველი ვიოლინო თვითონ სეპარატისტები თუ რუსები, მაგრამ ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ამას. და რაც მთავარი არის, 7–ში, 7 აგვისტოს დილას, თქვენ შეგიძლიათ ეს სამინისტროს ვებ–საიტზე შეამოწმოთ, ჩემი ხელით არის დაწერილი განცხადება, სადაც უტყუარი ინფორმაციით, რომელიც მე მივიღე საქართველოს კომპეტენტური ორგანიზაციებიდან, უწყებებიდან, არის დაწერილი, რომ როკის გვირაბში აქტიურად შემოდის ტექნიკა და ცოცხალი ძალა. ეს იმ დროს იყო, როდესაც იმ ღამის მოვლენებს, მოვლენების ჯერ კიდევ არავის არ სჯეროდა.

ეხლა, რაც შეეხება ჩვენს მცდელობებს. მე პატივი მქონდა რამდენიმე სამიტზე ვყოფილიყავი პრეზიდენტთან ერთად, ჩვენ ყველგან ჩავდიოდით მომზადებული, ყველგან ჩავდიოდით სამშვიდობო ინიციატივებით, ყველგან გქვონდა მოფიქრებული პოზიცია, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის სასიცოცხლო და სტრატეგიულ ინტერესებს. და ბოლო ესეთი წერილი მე ჩემი ხელით ჩავიტანე 22 ივნისს მოსკოვში, რაზეც მივიღე ცივი უარი,

თან, სხვათა შორის, ძალიან ტრადიციული სახით. როგორც კი ქართული დელეგაცია ჩადიოდა მოსკოვში ან რუსული დელეგაცია ჩამოდიოდა საქართველოში ნიძლავის დადება შეგეძლოთ, რომ მოხდებოდა რაღაცა პროვოკაცია. აი, 15 თებერვალს მე და ბატონი ნიკა ვაშაკიძე, ორივე მოადგილეები ვიყავით მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრის, გავფრინდით თუ არა მოსკოვში ერთ კარებში ჩვენ კარასინს ვხვდებოდით და საქართველო–რუსეთის ურთიერთობებზე ვლაპარაკობდით და ზუსტად იმავე დროს ლავროვი ღებულობდა ბაღაბშს და კოკოითს. როგორც კი კარასინი ჩამოფრინდა და ჩამოიტანა მედვედევის პასუხი, რომელსაც რუსულად "ატპისკა", ეს იყო სუფთა "ატპისკა", "ატპისკა" ჰქვია და ჩვენ ყველაფერს მივხვდით უკვე იმ წერილიდან. როგორც კი ჩამოვიდა და ჩამოიტანა აი, მაშინ მოხდა დიმიტრი სანაკოევის კორტეჟის აფეთქების მცდელობა, პოლიციელების დაჭრა და ქართველი ბავშვებით სავსე ავტობუსით, ურფო სწორად, ბავშვებით, რომელიც კონფლიქტური ზონიდან იყვნენ, ექსკურსიის ავტობუსის დაცხრილვა.

მე არ ვიცი ვინ ეთანხმება რუსულ ვერსიას, რუსულ თაიმლაინს, ვინ ამტკიცებს, რომ საქართველომ დაიწყო ომი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მე მოვლენების შუაგულში ვიყავი. ძალიან კარგად მახსოვს რა თქვეს საზღვარგარეთ ჩვენმა დიპკორპუსმა, რომელიც 5 აგვისტოს ჩვენ ჩავიყვანეთ ცხინვალში, რა უთხრეს მათ ქართველმა მოსახლეობამ, რა ნახეს მათ სოფელ ლულში, რომელიც 4 აგვისტოს უკვე მასირებული არტ–შეტევის მსხვერპლი გახდა. ყველაფერი ეს ჩაწერილია, დაფიქსირებულია. ამიტომ ადამიანი ან ბრმა უნდა იყოს ან ძალიან მიკერძოებული და ეხლა მოტივები უკვე კომისიამ უნდა გაარკვიოს, რა არის ამის მოტივები.

და კიდევ ერთი მინდა დავამატო. ამ ქართულ–რუსული ურთიერთობების ტრაგედია იმაში არ იყო, რომ ჩვენ მცდელობა დავაკლეთ. ტრაგედია იყო იმაში, რომ, პირველი – რუსეთისთვის და მე ამასი, სხვათა შორის, დავრწმუნდი იმწუთასვე. რუსეთისთვის აბსოლუტურად მიუღებელია იდეა დამოუკიდებელი დემოკრატიული და ტერიტორიულად მთლიანი საქართველოსი. ეს არის ფუნდამენტალური პრობლემა, რომელიც არის ქართულ – რუსულ ურთიერთობაში. ჩვენ რაც არ უნდა შეგვეთავაზებინა, ეს იყო მიუღებელი, იმიტომ, რომ რუსეთს საქართველო სჭირდება, როგორც არასტაბილურობის კერა.

და მეორე. ეს, რა თქმა უნდა, თქვენ მშვენივრად გესმით, რომ საქართველოს არსებობა რუსეთის გვერდზე ეს არის იდეოლოგიური შეჯიბრი. ქვეყანა, რომელსაც არა აქვს ნავთობი და გაზი, სადაც არ არის კორუფცია და არის 12%-ნი ეკონომიკური ზრდა, რომელიც კულტურულად და რელიგიურად, სულიერად არის რუსეთთან ახლოს, ამისთანა ქვეყნის წარმატება აბსოლუტურად მიუღებელია. შენ მერე ვეღარ იტყვი, რომ ესტონელები პროტესტანტები არიან, ლიტვა დიდხანს იყო ავსტრიის იმპერიის შემადგენელი ნაწილი და ეს კულტურა სხვაგან შემოვიდა.

ამიტომ ჩვენი მცდელობა, რომელიც ჩვენ არ დაგვიკლია რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის, ალბათ, თავიდანვე განწირული იყო. შეიძლება რუსეთის ხელისუფლების შიგნით იყო ჯგუფი, რომელსაც აინტერესებდა და რომელიც იყო მომხრე ჩვენთან ურთიერთობების გაუმჯობესების, მაგრამ მე ვღებულობდი ყოველთვის ძალიან ცალსახოვან გზავნილებს, თან მითუმეტეს იცით, რომ ისეთი доверительное отношение რომ იტყვიან. მაგალითად, მე შემიძლია გითხრათ, რომ პირველად ჩვენ მარტში დაბალ სამუშაო დონეზე, მაგრამ უკვე მარტში გვითხრეს, რომ საერთოდ ეს იდეა დევნილების დაბრუნების საჭიროებს სერიოზულ გადახედვას, იმიტომ, რომ არც ერთი კონფლიქტის შემდეგ დევნილები არ დაბრუნებიან. რაზეც, რასაც ჩვენი პასუხი მოჰყვა, რომ მაშინ ქართულ-რუსული ურთიერთობა განწირულია იმ მდგომარეობისთვის, რაც ეხლა არის. ა.შ. ცოტა გამიგრძელდა, რამე ხომ არ გამომრჩა?

ხ.გოგორიშვილი. (ხმა ადგილიდან მიკროფონის გარეშე).

გ.ვაშაძე. აი, ვთქვი, ქალბატონო ხათუნა. ჩვენ დიპკორპუსმა მოგვმართა თხოვნით. იქ ნაწილობრივი თხოვნა იყო დიპკორპუსის, ნაწილობრივად ჩვენი ინიციატივა იყო და სუყველა წავიდა. სხვათა შორის, როგორც კი ჩამოვიდნენ ცხინვალიდან, მე მივიღე ე.წ. მეგობრების ჯგუფი, სადაც შედის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, საფრანგგეთი და გერმანია და ცალკე მივიღე რუსეთის ელჩი.

ელჩები, დასავლეთის სახელმწიფოების ელჩები, იყვნენ ძალიან შეშფოთებულები, რადგან მათ თავისი თვალით ნახეს ერედვიც, ნულიც, განსაკუთრებით ნული, იმიტომ, რომ თქვენ გახსოვთ ნულიდან დაიწყო ეს ქართულ-რუსული ომი და რუსეთის ელჩი, რუსეთის ელჩი მართლა ჩაფიქრიანებული მოვიდა ჩემთან, იმიტომ, რომ მასირებული შეტევა მიიტანა მასზე მოსახლეობამ. თან შეკითხვა იყო სრულიად მარტივი. რა გინდათ, რატომ არ გვანებებს თავს და ძალიან შეშფოთებული იყო და იძახდა, რომ რაღაცნაირად ჩვენ იქნებ რაღაცნაირად გამოვნახოთ გზა იმისათვის, რომ მოვილაპარაკოთ, რაზეც მე პასუხი მქონდა – 22 ივლისს ჩამოგიტანეთ სამშვიდობო გეგმა, რომელიც, ფაქტიურად, შედგება იმ პუნქტებისგან, რაც თქვენი მხრიდან იყო გამოთქმული ან ჩვენი მხრიდან გამოთქმული და თქვენი მოწონება იყო ამაზე გამოთქმული. ისე რომ, 5 აგვისტო კარგი თვალამხვევი იყო, მაგრამ აქ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რაღაცა – ბოლომდე არ უნდოდათ ჩვენ მეგობრებს იმის დაჯერება, რომ რუსეთი იწყებს ან უკვე დაწყებული ჰქონდა მაგ მომენტისთვის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

თავმჯდომარე. ბატონ .....ბატონ ლორთქიფანიძეს.

ბატონო გია, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ვიზიტზე მინდა კიდევ ერთხელ დაგიზუსტოთ შეკითხვა: იყო თუ არა ეს დაგეგმილი და რა ვადებში იგეგმებოდა და ჰქონდა თუ არა მოჰქონდა თუ არა მას თქვენი ინფორმაციით რამე მნიშვნელოვანი მესიჯები?

გ.ვაშაძე. გამომრჩა ეს.

თავმჯდომარე. ბატონო დიმა.

გ.ვაშაძე. ე.ი. მე პრეზიდენტმა დამირეკა და მითხრა, რომ მოსკოვიდან მომივიდა, საელჩოდან, ასეთი

ინფორმაცია, რომ რუსეთის პრეზიდეტის ადმინისტრაციის უფროსი აპირებს ჩამოსვლას რუსული კულტურის, უფრო სწორად, რუსული პოეზიის რაღაცა იყო, კვირეული თუ დეკადა იმაზე აპირებს ჩამოსვლას, რუსულ კულტურის სახლში პირველი აგურის დადებაზე და ძალიან სერიოზული გზავნილები აქვსო. ნუ, მე დავკიდე ტელეფონი, დავრეკე მოსკოვში თუ გნებავთ, ზუსტად გვარები ვის ველაპარაკე, დახურულ იმაში მოგახსენებთ, რაზეც მითხრეს .....ისე რომ, არ ვიცი მე, ბატონი ნარიშკინი შეიძლება ატლანტაში აპირებდა ჩაფრენას, მაგრამ ჩვენს ჯორჯიაში ნამდვილად არ აპირებდა.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო გრიგოლ, თქვენ ახსენეთ რომ 7 აგვისტოს დილას, დილით, თქვენ ვებსაიტზე, ვებგვერდზე, სამინისტროს ვებგვერდზე, გაჩნდა განცხადება თქვენივე ხელმოწერით და მასთან დაკავშირებით, რომ როკის გვირაბში მოძრაობდა რუსული სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალები. თუ შეიძლება დაგვიკონკრეტეთ, ეს არის კონკრეტულად 7 აგვისტოს დილის ინფორმაცია, რომ 7 აგვისტოს დილას გამოჩნდა ეს ტექნიკა, თუ ზოგადად რაღაც დროის პერიოდს მოიცავს თქვენი განცხადება?

გ.ვაშაძე. იცით რა, მე ვერ გეტყვით ინფორმაცია, რა, რომელი. მე ვიცოდი ეს დღის პირველ ნახევარში 7 აგვისტოს, მე გადმომცეს ინფორმაცია და მე სასწრაფოდ ეს განცხადება გავაკეთე.

დ.ლორთქიფანიძე. კიდევ ერთხელ დავაკონკრეტებ. ეს არის 7 აგვისტოს დილას, მოძრავი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია, თუ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზოგადად, რაღაც დროის კონკრეტულ მონაკვეთებში შემოდიოდა ტექნიკა ...

გ.ვაშაძე. არა. ეს, ეს ინფორმაცია იყო ასეთი, რომ როკის გვირაბში შემოვიდა რაღაცა რაოდენობის რუსული ტექნიკა და ცოცხალი ძალა, მაგრამ როდის შემოვიდა 6-ში ღამე, თუ 7 დილას, 7-ში დილას ჩემთვის არ უთქვიათ და არა მგონია ჩვენ ზუსტად ვიცოდეთ ეს. ხო, შეიძლება შესაბამისმა სტრუქტურებმა იცოდნენ, მაგრამ მე მითხრეს რომ უკვე გამოჩნდნენ, ზუსტი რაოდენობა ჩვენ არ ვიცოდით, მაგრამ ის, რომ რაღაც რაოდენობის ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები როკის გვირაბში მოძრაობდნენ 7–ში დილას, მე ვიცოდი უკვე. 6–ში ღამეს შემოვიდნენ ისინი თუ 7–ში დილას ამას ვერ მოგახსენებთ.

დ.ლორთქიფანიძე ბატონო გრიგოლ, თქვენ შეგიძლიათ წყარო დაგვისახელოთ, ვისგან მიიღეთ ეს ინფორმაცია?

გ. ვაშაძე. დახურულ სხდომაზე.

თავმჯდომარე. ბატონო გრიგოლ, ერთი შეკითხვა მაქვს, ბატონმა ეროსიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ, მე ამ კითხვას იმიტომ გისვამთ თქვენ, რომ როგორც გავიგე, თქვენ იყავით კოორდინატორი საქართველოს და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების. რომ ის ამზადებდა მაღალი რანგის შეხვედრებს, საუბარია, ეს არა მისი ელჩობის პერიოდზეა საუბარი, ვთქვათ, ეს აპრილის თვეზე, თებერვლის თვეზე, როდესაც ამზადებდა შეხვედრებს, ვთქვათ, სააკაშვილსა და პუტინს და მედვედევს შორის, აი მაღალი დონის რანგის შეხვედრების მომზადებაზეა საუბარი. იყო თუ არა ასეთი ქმედებები? თუ იყო, თქვენ უკვე თებერვლიდან ბრძანდებით თუ არ ვცდები ხომ, მინისტრის მოადგილე? იყო თუ არა ასეთი ქმედებები? და რატომ ევალებოდა მას ეს თუ ეს მისი...

გ.ვაშაძე. ბატონო თავმჯდომარე, ერთი წუთით, მინდა უკან დავბრუნდე. ერთ–ერთ თქვენ შეკითხვაზე პასუხი არ გამიცია, როდესაც თითქოსდა ბატონი ეროსი ჩემთან მოვიდა და მე მანამდე მტრედი ვიყავი და მერე ძერა გავხდი და გამოვაცხადე, რომ .... გვჭირდება, ნუ, ეს ამან საქართველოში აკრედიტებულ დიპკორპუსში კი სიცილი გამოიწვია, ნუ, ეს არის აბსოლუტური აბსურდი, აბსოლუტური და ეს იმდენად, აი, ეს არის ყველაზე საწყენი, რომ ასე შეიძლება რაღაცის დამახინჯება, ფაქტების.

ახლა, რაც შეეხება ამ შეხვედრას. როდესაც სანტპეტერბურგში სამიტზე, დსთ–ს სამიტზე პრეზიდენტი ჩაფრინდა, რა თქმა უნდა, მას დაგეგმილი ჰქონდა შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან მედვედევთან. ეს შეხვედრა შედგა 6 ივნისს. 30 წუთის მაგივრად გაგრძელდა დაახლოებით 45 წუთი. საქართველოს პრეზიდენტმა რუკაზე აჩვენა და ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ რუსეთის პრეზიდენტს წარმოდგენა არ ჰქონდა, თურმე რაზე არის ლაპარაკი, რუკაზე აჩვენა კონფლიქტის ზონები, ზუსტად მოუყვა რამდენი ადამიანი ცხოვრობს, დავუშვათ, გალის რაიონში, ზემო აფხაზეთში, ოჩამჩირეში ასე შემდეგ და იმდენად ისეთი ლაპარაკი დაიწყო დაინტერესებული, რომ საუბრის ბოლოს ბატონმა მედვედევმა ესეთი ფრაზა თქვა: რომ ჩვენ პროტოკოლურ შეხვედრის 30 წუთში, რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ მოვასწრებთ და რას იტყვით, ბატონო პრეზიდენტო, რომ ჩვენ, სადღაც აგვისტოს განმავლობაში შევხვდეთ, დავუშვათ, სოჩაში ან სადმე უფრო მოხერხებულ ადგილას და ჩავატაროთ ნორმალური სამუშაო შეხვედრა,– რაზეც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობა მიიღო.

ბატონი ეროსი ამ შეხვედრაზე არ მუშაობდა იმიტომ, რომ ამ ფრაზის იქით მოსამზადებელი სამუშაო არ წასულა, თუ არ ჩავთვლით ბატონი კარასინის ჩამოსვლას თბილისში. როდესაც ის ჩამობრძანდა აქ ივლისის დასაწყისში, აი მაშინ, როდესაც კორტეჟი, კორტეჟს ესროლეს და ა.შ. რაზეც უკვე მოგახსენეთ და პირველი სიგნალი იმაზე, რომ ეს, მედვედევის, ბატონი მედვედევის იმპროვიზაცია ან ბატონი მედვედევის გულწრფელი სურვილი სამუშაო შეხვედრა ჩაეტარებინა, ხელისუფლების, რუსეთის ხელისუფლების რომელიღაც სართულზე დაიბლოკა. აი, მაშინ მივიღეთ ზუსტად ეს სიგნალი იმიტომ, რომ თქვა, რომ, მოდი, ნუ ვიჩქარებთო, პრეზიდენტების ურთიერთობას სჭირდება აღზრდაო, ერთმანეთს უნდა მიეჩვიონო და ეს დაადასტურა უკვე, როდესაც ყაზახეთში ჩვენ არც სამუშაო შეხვედრა გვქონდა და არც პროტოკოლური შეხვედრა. იმიტომ, რომ უკვე იმ დროს რუსეთში, ალბათ, გადაწყვეტილება მიღებული იყო.

თავმჯდომარე. დიახ.

გ.გაბაშვილი. ბატონო გრიგოლ, კიდევ ერთი დეტალი რომ დავაზუსტოთ. თქვენ ესწრებოდით თუ არა ბატონი

ზუბაკოვის შეხვედრებს თბილისში და მას ხომ არ ჩამოუტანია რაიმე განსხვავებული სიგნალი, ვთქვათ, რომ შეიცვალა ვითარება უშიშროების . . .

გ.ვაშაძე. ბატონო გოკა, მე დავესწარი მარტო სადილს, რომელიც უკვე ყველა შეხვედრის შემდეგ იყო. იმიტომ, რომ ოფიციალურად ბატონი ზუბაკოვის მასპინძელი საქართველოში კახა იყო, ლომაია. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ხელისუფლებაში ინფორმაციის გაცვლა და ერთმანეთის საქმის კურსში შეყვანა საკმაოდ კარგად არის დაყენებული, ამიტომ ბატონი კახას და პრეზიდენტის შეხვედრების შემდეგ მე სრული ინფორმაცია მქონდა რითი იყო ჩამოსული ბატონი ზუბაკოვი.

ბატონი ზუბაკოვი იყო ჩამოსული ერთი დავალებით, მოესინჯა ნიადაგი და ენახა რას ფიქრობდნენ ქართველები, რაც, სხვათა შორის, მას არ დაუმალია. არავითარი სერიოზული გზავნილი მას არ ჰქონდა. თქვენ გახსოვთ, ჩვენგან ითხოვდნენ მარტო ერთ რაღაცას, ხელი მოაწერეთ აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ძალის არგამოყენებას, რაზეც ჩვენ ვპასუხობდით, ჩვენ მოვაწერთ, ოღონდ რუსეთთან. ამას არაფერი არ მოსდევდა იმიტომ, რომ მცდელობა იყო იურიდიული ლეგიტიმაციის ამ სეპარატისტული წარმონაქმნების.

თავმჯდომარე.ბატონო გრიგოლ, დიდი მადლობა. ჩვენ ეხლა დავხუროთ სხდომა და ის კითხვები, რასაც თქვენ დახურულ სხდომაზე უნდა უპასუხოთ, ვთხოვ საორგანიზაციო განყოფილებას და მაცნობეთ, როცა ეთერში არ ვიქნებით, რომ ვიცოდე ზუსტად. შეგვიძლია, ხომ? არა ვართ უკვე ეთერში.